International
Labour
Office
Geneva

სამუშაო ადგილზე რისკების შეფასება

5-საფეხურიანი სახელმძღვანელო

დამსაქმებელთა, დასაქმებულთა და მათი წარმომადგენლებისათვის

5-საფეხურიანი სახელმძღვანელო

სამუშაო ადგილზე რისკების შეფასებისთვის დამსაქმებელთა, დასაქმებულთა და მათი წარმომადგენლებისათვის

პროექტი ნომრით IL-25258-14-75-K დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტის მიერ. მოცემული მასალა არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტის შეხედულებებს ან პოლიტიკას, ხოლო მასში ასახული სავაჭრო სახელწოდებები, კომერციული პროდუქტები, ან ორგანიზაციები არ მოიაზრებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხარდაჭერას. პროექტის ხარჯების 100% ფინანსდება ფედერალური ფონდებიდან 3 მილიონი დოლარის ოდენობით.

Funding is provided by the United States Department of Labor under award number IL-25258-14-75-K. These statements do not necessarily reflect the views or policies of the United States Department of Labor, nor does mention of trade names, commercial products, or organizations imply endorsement by the United States Government. 100% of the total costs of the project is financed with Federal funds, for a total of 3 million dollars.

საავტორო უფლება © შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია 2014
პირველად დაიბეჭდა 2014 წელს

საავტორო უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-2 ოქმის თანახმად, შრომის საერთაშორისო ოფისის გამოცემები საავტორო უფლებებით სარგებლობს. ამის მიუხედავად, გამოცემათა მოკლე ამონარიდების რეპროდუქცია შესაძლებელია ავტორიზაციის გარეშე, წყაროს მითითების პირობით. სრული რეპროდუქციის ან თარგმნის უფლებაზე განაცხადი უნდა გაკეთდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გამოცემათა (უფლებები და ნებართვა) სახელზე შემდეგ მისამართზე: International Labour Office, CH-1211 Geneva 22, Switzerland, ან ელ-ფოსტის მეშვეობით: pubdroit@ ilo.org. შრომის საერთაშორისო ოფისი მიესალმება მსგავს განაცხადებებს.

ბიბლიოთეკებს, გამომცემლობითი უფლებების მქონე ორგანიზაციებთან რეგისტრირებულ ინსტიტუტებს და სხვა მომხმარებლებს შეუძლიათ ასლების გადაღება მიზნობრივი ლიცენზიის პირობების შესაბამისად. თქვენს ქვეყანაში რეპროდუქციის უფლებების მქონე ორგანიზაციის საპოვნელად ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.ifrro.org.

სამუშაო ადგილზე რისკების შეფასების 5 საფეხურიანი სახელმძღვანელო დამსაქმებელთა, დასაქმებულთა და მათი წარმომადგენლებისათვის
A five step guide for employers, workers and their representatives on conducting workplace risk assessments
ISBN: 978-92-2-830924-9 (ბეჭდური)
978-92-2-830925-6 (ელექტრონული)

ILO-ს გამოცემებში ასახული, გაერთიანებული ერების პრაქტიკაის თანმხვედრი მოსაზრებები და წარმოდგენილი მასალა არ გამოხატავს შრომის საერთაშორისო ოფისის რაიმე მოსაზრებას ამა თუ იმ ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის, მხარისა თუ ხელისუფლების იურიდიული სტატუსის, ან საზღვრებისა თუ სადემარკაციო ზონების გამიჯვნის შესახებ.

ხელმოწერილ სტატიებში, კვლევებსა და სხვა კონტრიბუციებში გამოხატული მოსაზრებების გამო პასუხისმგებლობა მხოლოდ მათ ავტორებს ეკისრებათ. პუბლიკაციათა გამოცემა არ მიანიშნებს მათში გამოხატულ აზრთა აღიარებას შრომის საერთაშორისო ოფისის მიერ.

ფირმების, კომერციული პროდუქტების და პროცესების სახელწოდებებზე დაყრდნობა არ მიანიშნებს მათ აღიარებაზე შრომის საერთაშორისო ოფისის მიერ. ასევე თუ რომელიმე ფირმა, კომერციული პროდუქტი ან პროცესი არ არის ნახსენები, ეს არ მიანიშნებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მათ არ აღიარებას.

ILO-ს გამოცემების და ელექტრონული პროდუქტების მოპოვება შესაძლებელია წიგნების ძირითადი სავაჭრო ობიექტების მეშვეობით, ან მრავალ ქვეყანაში განლაგებულ ILO-ს ადგილობრივ ოფისებში ან უშუალოდ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გამომცემლობაში მისამართზე: ILO Publications, International Labour Office, CH-1211 Geneva 22, Switzerland. ახალ გამოცემათა კატალოგები და სიები უფასოდაა ხელმისაწვდომი ზემოაღნიშნულ მისამართზე. ინფორმაციის მისაღებად მოგვწერეთ: pubvente@ilo. org. ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.ilo.org/publns

ყდის დიზაინი დამზადებულია შვეიცარიაში WAS
ფოტოსურათები შექმნილია შვეიცარიაში JMB
დაბეჭდილია შრომის საერთაშორისო ოფისის მიერ, ჟენევა, შვეიცარია

სარჩევი

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია დამსაქმებლებს, დასაქმებულებს და მათ წარმომადგენლებს დაეხმაროს სამუშაო ადგილას ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების შეფასებაში 5

რას ნიშნავს რისკების შეფასება? 5

როგორ შევაფასოთ რისკები სამუშაო ადგილზე 6

საფეხური 1: მოახდინე საფრთხეების იდენტიფიცირება 8

საფეხური 2: განსაზღვრე ვინ შეიძლება დაზარალდეს და როგორ 9

საფეხური 3: შეაფასე რისკი – განსაზღვრე და მიიღე გადაწყვეტილება ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით 10

საფეხური 4: ჩაინიშნე საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და განსაზღვრულ აქტივობათა ვადები 11

საფეხური 5: აღწერე შედეგები, ჩაატარე შეფასების მონიტორინგი, გადახედე მას და საჭიროების შემთხვევაში განაახლე 12

დამატებითი ინფორმაცია 13

რისკის შეფასების ფორმა 14

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია დამსაქმებლებს, დასაქმებულებს და მათ წარმომადგენლებს დაეხმაროს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებაში

სამუშაო ადგილთან დაკავშირებული რისკების შეფასება ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანდაცვითი ასპექტების და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასაქმებულების და ბიზნესების დაცვაში და მრავალ ქვეყანაში კანონის აღსრულებასაც უწყობს ხელს. მისი დახმარებით სამუშაო ადგილზე ყველას ეძლევა საშუალება ყურადღება გაამახვილოს რეალურ რისკებზე - რასაც აქვს რეალური ზიანის მიყენების პოტენციალი.

უმრავლეს შემთხვევაში რისკების კონტროლი შესაძლებელია მართებული ზომების განხორციელებით. მაგალითად, დეჰიდრაციის აცილება შეიძლება სასმელი წყლის მიწოდებით, შენობებში ტემპერატურის ზრდის პრევენცია ფანჯრების დაბინდვით, საწარმოო ჭუჭყის იატაკიდან დროული მოშორებით შეიძლება ადამიანების შემთხვევითი ვარდნის პრევენცია და კარადების ჩაკეტვით უნებლიე ტრავმების თავიდან აცილება. უმრავლეს შემთხვევებში მარტივი, ეკონომიკური და ეფექტური ზომების გატარება უზრუნველყოფს ბიზნესების ყველაზე დიდი ფასეულობის - დასაქმებულთა დაცვას.

ადექვატურად ჩატარებული რისკების შეფასება შეამცირებს სამუშაო ადგილთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების ალბათობას და ამით გააძლიერებს დასაქმებულთა დაცვას. აღნიშნული ბიზნესის ინტერესების თანმხვედრია, რადგანაც სამუშაო პრაქტიკის უკეთ ორგანიზება ზრდის პროდუქტიულობის პოტენციალს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის "ტრენინგის პაკეტი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სამუშაო ადგილზე რისკების შეფასების და მართვის შესახებ" იძლევა დამატებით ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე და ხელმისაწვდომია: http://www.ilo. org/safework/info/instr/WCMS_215344/lang--en/index.htm.

წინამდებარე სახელმძღვანელოში აღწერილი მეთოდოლოგია რისკების შეფასების ერთადერთი გზა არ არის. არსებობს სხვა წარმატებული მეთოდები, განსაკუთრებით უფრო კომპლექსური რისკების და გარემოებების შესაფასებლად. ამასთანავე, ჩვენ გვჯერა, რომ წინამდებარე მეთოდი უმრავლესი ორგანიზაციისათვის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო წარმოებებისათვის, შესაბამისია.

რას ნიშნავს რისკების შეფასება?

რისკების შეფასება არის იმის საგულდაგულო გაანალიზება, თუ რამ შეიძლება მიაყენოს ადამიანებს ზიანი სამუშაო ადგილას. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ, თუ საკმარისია უკვე მიღებული ზომები და დამატებით რა არის განსახორციელებელი, რათა დასაქმებულებს და საზოგადოების წევრებს არ მიადგეთ ზიანი.

უბედურმა შემთხვევებმა და ჯანმრთელობის გაუარესებამ შესაძლოა მოსპოს ადამიანის სიცოცხლე, ასევე დააზიანოს ბიზნესი, მაგალითად, პროდუქციის შემცირებით, საწარმოო დანადგარების დაზიანებით, სადაზღვევო ხარჯების ზრდით ან სხვა ფინანსური ჯარიმების შედეგად. ბევრ ქვეყანაში დასაქმებულებს აქვთ სამუშაო ადგილზე

რისკების შეფასების სამართლებრივი ვალდებულება, რასაც შედეგად რისკების კონ-ტროლის კონკრეტული გეგმების შემუშავება უნდა მოჰყვეს.

სამუშაო ადგილას რისკების შეფასება განგრძობადი, მუდმივად მიმდინარე პროცე-სია. ეს არ არის სამუშაო ადგილის აღმწერი ფოტოსურათი, რაც ძირითადად სამუშაო ადგილის ინსპექტირების პრეროგატივაა. მართალია, მსგავსი ინსპექტირების შესახებ ინფორმაცია უდავოდ გამოსადეგი იქნება რისკების შესაფასებლად, ჩვენ უნდა გვა-ხსოვდეს, თუ რით განსხვავდება ინსპექტირება რისკების შეფასებისგან. ეს უკანას-კნელი მიზნად ისახავს საფრთხეთა იდენტიფიცირებას და რისკების საკონტროლო ზომების შემუშავებას. ინსპექტირების მიზანია იმის დადასტურება, თუ რამდენად ხო-რციელდება რისკების კონტროლის იდენტიფიცირებული ზომები.

როგორ შევაფასოთ რისკები სამუშაო ადგილზე

მიყევით წინამდებარე ბროშურაში ჩამოყალიბებულ ხუთ საფეხურს:

საფეხური 1

მოახდინეთ საფრთხეების იდენტიფიკაცია

საფეხური 2

განსაზღვრეთ ვინ შეიძლება დაზარალდეს და როგორ

საფეხური 3

შეაფასეთ რისკი – განსაზღვრეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით

საფეხური 4

ჩაინიშნეთ საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და განსაზღვრულ აქტივობათა ვადები

საფეხური 5

აღწერეთ შედეგები, ჩაატარეთ შეფასების მონიტორინგი, გადახედეთ მას და საჭირო-ების შემთხვევაში განაახლეთ

რისკების შეფასებისას ძალზედ მნიშვნელოვანია ზედმეტად არ გავართულოთ პრო-ცესი. ბევრ ორგანიზაციაში რისკები ცნობილია და კონტროლის საჭირო ზომების გა-ტარება ადვილია. რისკების შემფასებლებისთვის სავარაუდოდ წინასწარ არის ცნობი-ლი, მაგალითად, რომ დასაქმებულებს უხდებათ მძიმე ტვირთის გადაადგილება და, შესაბამისად, შეუძლიათ ზურგი დაიზიანონ, ან სად არსებობს ფეხის დაცურების ან მოყოლის მეტი საშიშროება. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში უნდა შემოწმდეს, თუ არის მიღებული გონივრული ზომები დაშავების ან ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად.

თუ დამსაქმებლები დასაქმებულებსა და მათ წარმომადგენლებთან თანამშრომლო-ბით ახორციელებენ რისკების შეფასებას, აქვთ ურთიერთნდობა და კარგად აქვთ გა-აზრებული შეფასების მიზნები, მათ კარგი შედეგების მიღწევა შეუძლიათ. არ არის აუცილებელი იყო უსაფრთხოების და ჯანდაცვის ექსპერტი, მაგრამ თუ რისკების შემ-ფასებლები თავიანთ თავში არ არიან დარწმუნებულები, მაშინ შეფასების პროცესში კომპეტენტური ადამიანების ჩართვა იქნება საჭირო.

ყველა შემთხვევაში დამსაქმებლებმა უნდა უზრუნველყონ პროცესში დასაქმებულების და მათი წარმომადგენლების სრულად ჩართვა. ისინი ფლობენ სამუშაო პირობების შესახებ საჭირო ინფორმაციას და მათი მონაწილეობა რისკების შეფასების პროცესს მეტ სიღრმეს და ეფექტურობას შემატებს. გახსოვდეთ, რომ ბევრ ქვეყანაში დამსაქმებლების ვალდებულებაა რისკების შეფასების ადექვატურად წარმართვის უზრუნველყოფა.

რისკების შეფასებაზე ფიქრისას გახსოვდეთ შემდეგი:

- საფრთხე ყველგანაა, ზიანის მიყენება შეუძლია, მათ შორის ქიმიკატებს, ელექტროობას, ხარაჩოებზე მუშაობას, კონტროლის გარეშე დარჩენილ დანადგარებს, ღია ლუკს, მომთხოვნ და სტრესულ სამუშაოს და ა.შ.;
- რისკი, მაღალი თუ დაბალი, არის შანსი იმისა, რომ ვინმე შესაძლოა დაზარალდეს ამა თუ იმ საფრთხის გამო. რისკი ასევე მიუთითებს, თუ რამდენად სერიოზული შეიძლება იყოს მიყენებული ზიანი.

საფეხური 1
მოახდინეთ საშიშროებათა იდენტიფიკაცია

შემფასებლებმა პირველ რიგში უნდა მოახდინონ იდენტიფიკაცია იმისა, თუ როგორ შეიძლება დაზიანდნენ დასაქმებულები და სტუმრები. ეს კეთდება სამუშაო ადგილის დათვალიერებით და საფრთხეების აღწერით. არაიდენტიფიცირებული რისკების კონტროლი შეუძლებელია. როდესაც ყოველდღე მუშაობთ, საფრთხე შეიძლება გამოგრჩეთ. მათი სრულად საიდენტიფიკაციოდ იხილეთ შემდეგი რჩევები:

- შეათვალიერეთ სამუშაო ადგილი და შეეცადეთ წარმოიდგინოთ, თუ რამ შეიძლება მიაყენოს ადამიანებს ზიანი. უზრუნველყავით ყველგან ყველა - რეგულარული და არარეგულარული - სამუშაო აქტივობის შეფასება, მაგალითად, შეამოწმეთ წარმოების ყველა ასპექტი, გეგმიური პრევენციული საქმიანობა და ა.შ.
- უზრუნველყავით დასაქმებულთა და მათ წარმომადგენელთა მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების აღწერა და შესაძლო უბედური შემთხვევების და ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან აცილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. მათ შეიძლება შეამჩნიონ ისეთი დეტალები, რაც იმთავითვე შეიძლება ვერ შეამჩნიონ დამსაქმებლებმა ან გარეშე მომსახურების მომწოდებლებმა.
- პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ რჩევების მოცემა. დაუკავშირდით მათ.
- შეამოწმეთ ‘მწარმოებელთა’ ან ‘მომწოდებელთა’ ინსტრუქციები და ‘ტექნიკური აღწერილობები’. როგორც წესი მსგავსი დოკუმენტაცია თქვენს ყურადღებას გაამახვილებს საფრთხეებზე და კარგ წარმოდგენას შეგიქმნით ამა თუ იმ დანადგარზე.
- ისწავლეთ წარსულში მომხდარი უბედური შემთხვევების და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მაგალითზე. აღნიშნული ხშირად გვეხმარება ნაკლებად შესამჩნევი საფრთხის იდენტიფიცირებაში.
- გახსოვდეთ ჯანმრთელობასთან (მაგალითად, ხმაურის ან მავნე ზემოქმედების ნივთიერებების ზემოქმედება), ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული, ასევე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი საფრთხეების შესახებ.

საფეხური 2
განსაზღვრეთ ვინ შეიძლება დაზარალდეს და როგორ

შემფასებლებმა კარგად უნდა გაიაზრონ, ვინ როგორ შეიძლება დაზარალდეს ყოველი იდენტიფიცირებული საფრთხის შედეგად. ასე შეძლებთ უკეთ მართოთ რისკები. არ იქნება საჭირო თითოეული პოტენციური დაზარალებულის სახელების ჩამოწერა. სანაცვლოდ, მოახდინეთ ადამიანთა ჯგუფების იდენტიფიცირება (მაგალითად, 'საწყობში დასაქმებული ადამიანები', და ა.შ.).

ყოველ შემთხვევასთან დაკავშირებით გაიაზრეთ, თუ როგორ შეიძლება დაზარალდნენ ეს ადამიანები, რა ტიპის ტრავმა შეიძლება მიადგეთ მათ, როგორ შეიძლება აისახოს ეს მათ ჯანმრთელობაზე და ა.შ. მაგალითად, 'მტვირთავებს მძიმე ყუთების აწევის შედეგად შეიძლება დაუზიანდეთ ზურგი'.

დაიმახსოვრეთ:

- ზოგიერთ დასაქმებულს კონკრეტული საჭიროებები აქვთ. მაგალითად, ახალი და ახალგაზრდა თანამშრომლები, ფეხმძიმე ქალები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები შეიძლება განსხვავებული რისკების წინაშე აღმოჩნდნენ. ზოგიერთ საფრთხეზე მეტი ფიქრია საჭირო;
- ცალკე კატეგორიაა დამლაგებლები, სტუმრები, კონტრაქტორები, შემკეთებლები და სხვა... ვინც ყოველთვის არ იმყოფება სამუშაო ადგილას;
- საზოგადოების წევრები, რომლებსაც თქვენი საქმიანობით შეიძლება მიადგეთ ზიანი;
- თუ სამუშაო ადგილი საზიაროა, იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ ზემოქმედებს სხვებზე თქვენი საქმიანობა, ასევე როგორ მოქმედებს მათი საქმიანობა თქვენს კოლეგებზე. დაელაპარაკეთ მათ; და
- შეეკითხეთ დასაქმებულებს, იქნებ არსებობენ ადამიანები, რომლებიც თქვენ გამოგრჩათ.

საფეხური 3
შეაფასეთ რისკი - განსაზღვრეთ და მიიღეთ გადაწყვეტილება ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით

საფრთხეთა იდენტიფიცირების შემდეგ შემფასებლებმა უნდა გადაწყვიტონ რა მოუხერხონ მათ. ბევრ ქვეყანაში კანონი ავალდებულებს დამსაქმებლებს ყველაფერი იღონონ ადამიანების საფრთხისგან დასაცავად. ამის მიღწევა შეიძლება გადადგმული ნაბიჯების საუკეთესო პრაქტიკასთან შედარებით.

პირველ რიგში გადახედეთ კონტროლის არსებულ მექანიზმებს და საქმიანობის ორგანიზებას. შემდეგ შეადარეთ აღნიშნული საუკეთესო პრაქტიკას და ნახეთ თუ შეიძლება მეტის გაკეთება სამუშაო ადგილას დაცვის სტანდარტების გასაუმჯობესებლად. შემფასებლებმა უნდა იფიქრონ შემდეგზე:

- თუ არის შესაძლებელი საფრთხის ძირეული აღმოფხვრა? მაგალითად, სიმაღლეზე მუშაობის აკრძალვით დაკავშირებული რისკის თავიდან აცილება.
- თუ ეს შეუძლებელია, როგორ ვაკონტროლოთ რისკები ისე, რომ მინიმუმამდე შევამციროთ რისკის ალბათობა?

რისკების სამართავად კონტროლის მექანიზმებს შორის დაიცავით შემდეგი თანმიმდევრობა:

- ეცადეთ საფრთხე ნაკლებად სარისკო ვარიანტით ჩაანაცვლოთ (მაგალითად, გადაერთეთ ნაკლებად საშიში ქიმიური ნივთიერებების მოხმარებაზე);
- შეზღუდეთ საფრთხეზე წვდომა (მაგალითად, დაცვა მიუჩინეთ რისკის მატარებელ ობიექტს);
- სამუშაო ისე წარმართეთ, რომ შემცირდეს საფრთხის ალბათობა (მაგალითად, ფეხით მოსიარულეებსა და ტრანსპორტს შორის აღმართეთ ბარიერი), დანერგეთ უსაფრთხო მუშაობის მეთოდები;
- დასაქმებულები უზრუნველყავით მათ კეთილდღეობაზე გათვლილი საშუალებებით (მაგალითად, პირველადი დახმარებით, ქიმიური დაბინძურების ჩამოსარეცხი სამრეცხაოთი); და
- დასაქმებულებს უფასოდ დაურიგეთ დაცვის პერსონალური აღჭურვილობა (მაგალითად, შესაფერისი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხელთათმანები და სხვა).

უსაფრთხოების და ჯანდაცვის გაუმჯობესება ძვირი არ უნდა დაჯდეს. მაგალითად, საშიშ მოსახვევში სარკის დამონტაჟება მძღოლებს დაეხმარება საგზაო შემთხვევის თავიდან აცილებაში, ტვირთის გადაზიდვა ბორბლიანი მზიდავებით შესაძლო რისკებთან შედარებით ნაკლებხარჯიანია. მარტივი პრევენციული ნაბიჯების არგადადგმა დასაქმებულებს და ბიზნესებს შესაძლოა ძალზედ ძვირად დაუჯდეთ, როგორც ფინანსურად, ასევე უბედური შემთხვევით და, შესაბამისად, ტრავმით გამოწვეული ტკივილით და თანმდევი ფიზიკური სიძნელეებით.

დამსაქმებლების და დასაქმებულების მიერ რისკების ერთობლივი, გუნდური შეფასება უზრუნველყოფს შემოთავაზებული კონტროლის მექანიზმების პრაქტიკაში წარმატებულობას და არ წარმოშობს ახალ საფრთხეებს. დაიმახსოვრეთ - ყველა დასაქმებულ პირს, მათ შორის მენეჯერებსაც, უნდა ჩაუტაროთ ტრენინგი კონტროლის შეთანხმებულ ზომებზე. ეს იქნება მათი მართებულად განხორციელების ერთგვარი გარანტია.

საფეხური 4
ჩაინიშნეთ საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი და განსაზღვრულ აქტივობათა ვადები

თუ შემფასებლებმა გადაწყვიტეს დამატებითი საკონტროლო ზომების შემოღება, საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მათ განსახორციელებლად. როგორც წესი, საჭირო იქნება აღნიშნულზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირების იდენტიფიცირება და განხორციელების ვადებზე შეთანხმება. ქმედების განხორციელების დრო უნდა დაფიქსირდეს.

რისკების შეფასება მნიშვნელოვანია. ამასთანავე, სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების და რისკების აღმოფხვრა შესაძლებელი იქნება მხოლოდ შეფასების შედეგების განხორციელებით.

ნაკლებად სავარაუდოა შემფასებლებმა ისეთი ახალი საკონტროლო ზომების განხორციელება შემოგთავაზონ, რის ერთდროულად განსახორციელებლადაც ბიზნესებს არ ჰქონდეთ რესურსები. რიგი დამატებითი საკონტროლო ზომის მიღება დაუყოვნებლივ იქნება შესაძლებელი, მაგალითად, წესრიგის დამყარება, კაბელების მოხსნა/მოწესრიგება და სხვა. სხვა ზომებს შორის საჭირო იქნება პრიორიტეტების განსაზღვრა, რაც საფრთხის ძალაზე იქნება დამოკიდებული.

შეიმუშავეთ გეგმა პირველ რიგში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან გასამკვლავებლად.

კარგი სამოქმედო გეგმა სხვადასხვა საკითხებს მოიცავს, მათ შორის:

- რამდენიმე დაბალბიუჯეტიან, ადვილად და სწრაფად განსახორციელებელ ქმედებას, რაც დროებითი გამოსავალი იქნება სამოქმედო გეგმის სრულად განხორციელებამდე;
- უბედური შემთხვევების ან ჯანმრთელობის გაუარესების მაღალი ალბათობის რისკების გადაჭრის გრძელვადიან გამოსავალს;
- ყველაზე ცუდი შედეგების მატარებელი რისკების აღმოსაფხვრელად გრძელვადიან გამოსავალს;
- არსებული რისკების და მათი კონტროლის მექანიზმების შესახებ დასაქმებულთათვის ტრენინგების ორგანიზებას;
- კონტროლის მექანიზმების განგრძობადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად რეგულარულ შემოწმებას.

საფეხური 5
აღწერეთ შედეგები, ჩაატარეთ შეფასების მონიტორინგი, გადახედეთ მას და საჭიროების შემთხვევაში განაახლეთ

ჩაინიშნეთ და გაასაჯაროვეთ შეფასების შედეგები და მიიღეთ გადაწყვეტილება 1-4 ნაბიჯთან დაკავშირებით. ჩანაწერი ხელმისაწვდომი უნდა იყოს დასაქმებულების, მათი უფროსების და შრომის ინსპექტორებისათვის.

შედეგების აღწერის მზა ფორმატი არ არსებობს. წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებული ფორმა შექმნილია რისკების შეფასების კონცეფციის უკეთ წარმოსაჩენად და ასევე გამოდგება შედეგების მარტივ და ადვილად აღქმად ფორმატში ჩასანიშნად.

კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის მონიტორინგისათვის საჭიროა კონკრეტული ქმედებების განხორციელება. ერთ-ერთი გზა სამუშაო ადგილების ინსპექტირებაა. შემფასებლებს მე-3 ნაბიჯში შეუძლიათ მოიაზრონ სამუშაო ადგილის ყოველდღიური, ყოველკვირეული ან ყოველთვიური ინსპექტირება, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი საკონტროლო ღონისძიება.

სამუშაო ადგილი იშვიათად, რომ არ შეიცვალოს. ადრე თუ გვიან განახლდება აღჭურვილობა, დაემატება ახალი ნივთიერებები და პროცედურები, რასაც ახალი საფრთხეები სდევს თან. შესაბამისად, შეფასების შედეგების გადაფასება მუდმივადაა საჭირო. სასურველია შეფასება ყოველწლიურად იქნას გადაფასებული. აღნიშნული დაგეხმარებათ სამუშაო ადგილას უსაფრთხოების და ჯანდაცვის სტანდარტების მუდმივად გაუმჯობესებაში და დაგიცავთ მდგომარეობის გაუარესებისაგან.

კიდევ ერთხელ გადახედეთ რისკების შეფასებას. მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება? საჭიროა თუ არა მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებაზე ფიქრი? თუ მოახდინეს დასაქმებულებმა სხვა რისკების იდენტიფიცირება? თუ აღმოაჩნდა სამუშაო ადგილის უსაფრთხოების და ჯანდაცვის ორგანიზებას ნაკლი უბედური შემთხვევების გამოძიების შედეგად? უზრუნველყავით რისკების შეფასების მუდმივი განახლება.

თუ წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, არ დაიცადოთ, იმოქმედეთ. გადაამოწმეთ რისკების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში განაახლეთ იგი. იფიქრეთ რისკების შეფასებაზე, როდესაც გეგმავთ ცვლილებების შემოღებას. ეს დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ ახალი რისკები და უზრუნველყოთ კონტროლის ადექვატური ღონისძიებების გატარება.

დამატებითი ინფორმაცია

თუ სიძნელეებს გადააწყდით, არ დანებდეთ. თქვენს დასახმარებლად ზღვა ინფორმაცია არსებობს.

რისკების შეფასების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდებზე:

- http://osha.europa.eu/en/practical-solutions/risk-assessment-tools
- http://www.ccohs.ca/ccohs.html
- http://www.inrs.fr/htm/evaluation_des_risques_professionnels.html
- http://www.insht.es/portal/site/Insht/menuitem.1f1a3bc79ab34c578c2 e8884 060961ca/?vgnextoid=d8388dd6caa62110VgnVCM100000dc0 ca8c0RCRD& vgnextchannel=75164a7f8a651110VgnVCM100000dc0 ca8c0RCRD
- http://www.hse.gov.uk/risk/index.htm

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ადასტურებს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის და უსაფრთხოების აღმასრულებლის მიერ გამოქვეყნებულ საჯარო ინფორმაციას. წინამდებარე ინფორმაცია ლიცენზირებულია დიდი ბრიტანეთის ღია მთავრობის ლიცენზიით v1.0

რისკების შეფასების ფორმა **საწარმო:**

საფეხური 1
არსებული საფრთხეები

აღმოაჩინეთ საფრთხეები:

- სამუშაო ადგილის დათვალიერებით;
- დასაქმებულების აზრის გამოკითხვით;
- მწარმოებელთა ინსტრუქციების შესწავლით;
- თქვენს პროფკავშირთან დაკავშირებით.

არ დაგავიწყდეთ გრძელვადიანი საფრთხეები.

საფეხური 2
ვინ შეიძლება დაზარალდეს და როგორ?

მოახდინეთ ადამიანთა ჯგუფების იდენტიფიცირება. გახსოვდეთ:

- ზოგიერთ დასაქმებულს განსაკუთრებული საჭიროებები აქვს;
- ზოგიერთი დასაქმებული ყოველთვის არ იმყოფება სამუშაო ადგილას;
- საზოგადოების წევრები;
- თუ სამუშაო ადგილი საზიაროა, იფიქრეთ, როგორ იმოქმედებს სამუშაო სხვებზე.

დააკონკრეტეთ, რა ზიანის მოტანა შეუძლია ამა თუ იმ საშიშროებას.

საფეხური 3
რას აკეთებთ?

ჩამოთვალეთ ის ქმედებები, რომელთაც უკვე ახორციელებთ, რათა შეამციროთ რისკი ან შესაძლო ზიანის მასშტაბი.

საფეხური 5 გადახედვის თარიღი:

შეფასება შესრულებულია (ვის მიერ): **ხელმოწერა:**

სექტორი/განყოფილება: **თარიღი:**

საფეხური 4

რა შემდგომი ქმედებების განხორციელებაა საჭირო?

უზრუნველყავით რისკების შემცირება მინიმუმანდე. ამის გაკეთება მარტივადაა შესაძლებელი თუ იმას რაც უკვე კეთდება შეადარებთ საუკეთესო პრაქტიკას. თუ სხვაობას აღმოაჩენთ, ჩამოთვალეთ ის, რისი გაკეთებაც საჭიროა.

როგორ განახორციელებთ შეფასების შედეგად შემუშავებულ გადაწყვეტილებებს?

არ დაგავიწყდეთ პრიორიტეტების დასახვა. პირველ რიგში გაუმკლავდით ყველაზე მაღალი რისკის და შესაძლო სერიოზული შედეგების მქონე საფრთხეს.

ქმედება	ქმედება	შესრულებულია
ვის მიერ	ვადა	

- გადახედეთ შეფასებას, დარწმუნდით, რომ სამუშაო ადგილას უსაფრთხოების და ჯანმრთელობის მართვა უმჯობესდება, უკიდურეს შემთხვევაში არ უარესდება.
- თუ სამუშაო ადგილზე სერიოზული ცვლილებები მოხდა, არ დაგავიწყდეთ რისკების შეფასების გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში შესწორებების შეტანა.

შრომის ადმინისტრაცია, შრომის ინსპექცია და სამუშაოს უსაფრთხოების და ჯანდაცვის ფილიალი
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
Route des Morillons 4
CH-1211 Geneva 22
Switzerland

ტელ.: +41 22 7996715

ფაქსი: +41 22 7996878

www.ilo.org